განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფსიქოლოგია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

## ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

23 აპრილი, 2020

თბილისი

2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფსიქოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2018 წლის 10 იანვრის #3 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლია სანიკიძე (შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი) |
| აწევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე საბიაშვილი (ა(ა)იპ წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2018 წლის 10 იანვრის #1 გადაწყვეტილების თანახმად. მას მინიჭებული აქვს აკრედიტაცია 7 წლით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუალდგომლობით, განხორციელებულიყო პროგრამაზე მონიტორინგი და შეფასებულიყო, თუ რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტთა/საბჭოს რეკომენდაციები. მთლიანობაში საგანმანათლებლო პროგრამაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. საგანმანათლებლო პროგრამა ეტაპობრივად დალაგებული რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. სწავლების პირველი ეტაპი მოიცავს ზოგადი განათლებისა და სპეციალობისთვის სავალდებულო კურსებს; მეორე ეტაპი ფსიქოლოგიის სავალდებულო ბაზისურ და არჩევით (მეტად სპეციფიკურ) კურსებს; მესამე ეტაპი მთლიანად საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას სტუდენტებს საშუალება აქვთ საკუთარი ინტერესის მიხედვით გაიაროს არჩევითი კურსები;

- თითოეული კურსისთვის შერჩეულია ადეკვატური სწავლის მეთოდები (ლექციები, სემინარები, პრეზენტაციები) და მათი დიდი ნაწილი მაქსიმალურად ინტერაქციულია.
- პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდები და სწავლის მიზნები ურთიერთშესაბამისია და ლიგიკურად ებმის ერთმანეთს.
- პროგრამის მიზნები შეესაბამება ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისიას, ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებს.

სასწავლო კურსების განაწილება და სწავლა-სწავლების მეთოდები სრულებით აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნას და ბაკალავრის ხარისხისათვის აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას.

ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის 26 დეკემბერს წარდგენილ დასკვნაში რეკომენდირებული იყო რამოდენიმე ცვლილების შეტანა პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი აკრედიტაციის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები აუმჯობესებს დასახული მიზნების მიღწევის სტრატეგიას. პროგრამაში სასწავლო კურსები ისეა განაწილებული, რომ მათი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ შრომის ბაზარზე ან გააგრძელონ სწავლა შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის მიზნად განისაზღვრა ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესრულების მონიტორინგის გზით შეფასება. ჯგუფი შეიქმნა სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2020 წლის 5 თებერვლის №137032 ბრძანების საფუძველზე. პროგრამის მონიტორინგით შემოწმების საფუძველი იყო აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა.

ჯგუფმა პროგრამის შეფასება განახორციელა დაწესებულებში ვიზიტის გარეშე. ჩვენ შევისწავლეთ აკრედიტაციის წინა ექსპერტთა ჯგუფის 2017 წლის დასკვნა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე. ექსპერტების ჯგუფის 2017 წლის რეკომენდაციით, საბაკალავრო პროგრამაში საჭირო იყო განხორციელებულიყო რიგი ცვლილებები, როგორც პროგრამის სტრუქტურის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსის თვალსაზრისით.

შევისწავლეთ ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული I, II, IV (მხოლოდ 4.1 კომპონენტი) და V (მხოლოდ 5.2. კომპონენტი) სტანდარტი.

მონიტორინგი და შეფასება განხორციელდა მოწოდებული შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

- ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურს ების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის CV-ები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საგნის/საგნების მი თითებით;
- სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- პროგრამის /დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმეტაცია, რომელიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამას, შესული ცვლილებების აღმწერი დოკუმენტი.

(ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა (2020 წლის 9 აპრილის №334011 განცხადებით) პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი).

ექსპერტების ჯგუფის 2017 წლის რეკომენდაციით, საბაკალავრო პროგრამაში საჭირო იყო განხორციელებულიყო რიგი ცვლილებები, როგორც

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა რომ, არსებითად პროგრამა შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან:

სტანდარტი 1. პროგრამა უზრუნველყოფს წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევას და დასახული შედეგების მიღწევადობას. 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2. პროგრამა კარგად არის ორგანიზებული და შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგია და ადექვატური შეფასების სისტემა აქვს. მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგანაც აღნიშნული სტანდარტის 2.1., 2.2., 2.3., 2.5. და 2.6. კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4. (მხოლოდ 4.1 კომპონენტი) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა სრულიად შეესაბამება წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას. მას უძღვებიან საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების სრულიად შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული აკადემიური პერსონალი. მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,

სტანდარტი 5. (მხოლოდ 5.2. კომპონენტი) პროგრამას განსაზღვრული აქვს გარე ხარისხის შეფასები საჭიროება და გზები. ისინი განიხილავენ და ასრულებენ აკრედიტაციის ეროვნული სტანდარტებით მიღებულ რეკომენდაციებს. 5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

პროგრამის სასწავლო გეგმა, დისციპლინების ჩამონათვალი სრულებით აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. დისციპლინათა სემესტრული განაწილება ლოგიკურია. პროგრამას უძღვება კვალიფიციური პროფესორი და მის განხორციელებაში მონაწილეობს გამოცდილი და მომზადებული აკადემიური პერსონალი.

- რეკომენდაციები

2017 წლის დასკვნაში ექსპერტთან ჯგუფის მიერ შემუშავებული იყო რამდენიმე ზოგადი რეკომენდაცია მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის აგებულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნები ქვემოთ თავდაპირველ რეკომენდაციებთან ერთად შედარებისთვის არის მოყვანილი:

- ✓ **რეკომენდაცია 1.** ფსიქოლოგიის ბაკალავრისთვის აუცილებელი ბაზისური კომპეტენციების გამოსამუშავებლად და GIPA-ის მისიის/ხედვის შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა სავალდებულო მაპროფილებელი საგნების ჩამონათვალში მხოლოდ ფსიქოლოგის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი, ბაზისური კურსების დატოვება, ზოგიერთი კურსის განვრცობა და/ან დამატება და ყველა სხვა დანარჩენი კურსის არჩევითი საგნების ჩამონათვალში გადატანა.

განახლებული პროგრამის შემოწმებამ აჩვენა, რომ ეს რეკომენდაცია ფაქტიურად მთლიანობაშია შესრულებული. სავალდებულო მაპროფილებელი საგნების ჩამონათვალში განხორციელებულია ცვლილებები: დამატებული და განვრცობილია რამდენიმე საგანი. ზოგიერთი კურსი კი არჩევითი საგნების ჩამონათვალშია გადატანილი. უფრო დეტალურად გატარებულ ცვლილებებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

- ✓ **რეკომენდაცია 2.** პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი კურსის დასახელების, შინაარსისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან მეტ შესაბამისობაში მოყვანა; ასევე ზოგი კურსის შინაარსის დახვეწა და თანმიმდევრულად დალაგება.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი კურსის დასახელების შინაარსი და სწავლის შედეგები ერთმანეთთან მეტ შესაბამისობაშია მოყვანილი; მითითებული კურსის შინაარსები მეტად დახვეწილი და თანმიმდევრულად დალაგებულია.

- ✓ **რეკომენდაცია 3.** სასურველი იქნებოდა საბაკალავრო ნაშრომის ზოგადი სტრუქტურის ამსახველ დოკუმენტზე დაყრდნობით კონკრეტულად წარმოდგენილი პროგრამისთვის შემუშავებული სილაბუსის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნებოდა როგორც განსახორციელებელი აქტივობების მიმდევრობა და სტრუქტურა, ისე შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები.

რეკომენდაცია გათვალისწინებულია. შემუშავდა და დაემატა დასკვნითი სასწავლო პროექტის სილაბუსი. მასში გაწერილია, როგორც განსახორციელებელი აქტივობების მიმდევრობა და სტრუქტურა, ასევე მისი შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები.

- ✓ **რეკომენდაცია 4.** სასურველი იქნებოდა, რომ რეალურად უზრუნველყოფილი პროფესიული პრაქტიკა საბაკალავრო პროგრამაშიც იყოს ასახული შესაბამისი რაოდენობის კრედიტებისა და სილაბუსის სახით.

ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის. პროგრამაში საერთოდ არ ფიგურირებს პროფესიული პრაქტიკა. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ახალი სტანდარტით (2018 წლიდან ამოქმედებული სტანდარტები) გაზრდილია კომპეტენციები. შედეგად, უნივერისტეტმა უნდა უზრუნველყოს პროფესიული პრაქტიკის მიწოდება.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (2017 წლის 26 ოქტომბრის წარმოდგენილ) დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციები უმეტესწილად გათვალისწინებულია.

ჩვენი ექსპერტთა ჯგუფის მონიტორინგის პროცესში, ასევე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ქვემოთ შესაბამის სტანდარტთან არის მოყვანილი.

1. სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელების მისთვის მისაღები მოდელი. სასურველია სტუდენტების უფრო აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ფსიქოლოგიურ საზოგადოებაში. ამ ტიპის სასწავლო პრაქტიკა სტუდენტებს დაეხმარება პროფესიული თვითგამორკვევის პროცესში და ბევრად უფრო კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოაყალიბებს მათ.
   პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი შეკრავს და გაამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ცხრილი წარმოდგენილ იქნეს ისეთი ფორმით, სადაც ნათლად გამოჩნდება: პროგრამის რომელი კომპონენტი/ კომპონენტები, უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას, და შეფასების რა ფორმით აღწევენ ამას? ასევე, რა შეფასების მეთოდით ახორცილებენ და რა მტკიცებულებით/ებით ადასტურებენ მას.
2. საგანმანათლებლო პროგრამას უძღვებიან მაღალკვალიფიციური პირები მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით, მათი უმრავლესობა დღესაც ახორციელებს პროფესიულ პრაქტიკას. ვფიქრობთ, შესაძლებელია მათივე

მხრიდან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული ადაპტაციის მიზნით. ეს შესაძლებლობა აამაღლებს სტუდენტების მოტივაციას და ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების და შედეგების უკეთ მიღწევას.

3. ბიოგრაფიები (CV) განსხვავებულ ფორმატშია წარმოდგენილი. შესაბამისად, სასურველია პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიების (CV) განახლება და უნიფიცირებულ ფორმაში გადატა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამება ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული ეყოლება პროგრამას.<br><br>უნივერსიტეტი ამზადებს ფართო პროფილის ფსიქოლოგებს. კურსდამთავრებულები შეძლებენ პროფესიულ საქმიანობას ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით (ზოგადი, სოციალური, იურიდიული, ორგანიზაციული და პოლიტიკური). საგანმანათლებლო პროგრამას დასახული |

| |
|---|
| აქვს ხუთი ძირითადი მისაღწევი მიზანი. უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული პროგრამა იმგვარად არის მოწოდებული რომ ფსიქოლოგიის ბაკალავრს შესძინოს:<br>1. ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის საბაზისო დარგებში (კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, განწყობის ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია და სხვა);<br>2. ფართო ცოდნა გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგებში (ორგანიზაციული, განათლების, კლინიკური, იურიდიული ფსიქოლოგია და სხვა);<br>3. პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარები.<br>4. თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კვლევის მეთოდების (სტატისტიკა და სხვა მეთოდები) გამოსაყენებლად.<br>5. კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთავის აუცილებელი უნარ-ჩვევები.<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტაცია, პროგრამა, კურუკულუმი, სილაბუსები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ პროგრამა უზრუნველყოფს წარმოდგენილ მიზანს და ამოცანებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ **პროგრამა**<br>○ **სილაბუსები** |
| რეკომენდაციები:<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების და კომპონენტების შინაარსი სწავლების მეთოდების და შესატყვისი კრედიტების მოცულობის ჩათვლით შეესაბამება დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგების და კომპეტენციების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის ექვსი შედეგი და დარგობრივი კომპეტენცია და თითოეულის მიღწევისთვის აქვს ნათლად განსაზღვრული კრიტერიუმები.

- ზოგადი სავალდებულო საგნები პირველივე სემესტრიდან მიმართულია შედეგებზე, რომლებიც სტუდენტებს თანმიმდევრულად გამოუმუშავებენ ცოდნის მიღების და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარებს, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარს, სწავლობენ აზროვნების კულტურას, იწყებენ პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ -ჩვევების გამომუშავებას (აქ ვგულისხმოთ შემდეგ კურსებს: მაგ, ისტორიული პიროვნებები, პრე-კალკულუსი, ლოგიკური უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლები და ა.შ.). ასევე, სტუდენტები ეცნობიან პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და ეჩვევიან კონსტრუქციულ კრიტიკას თუ დებატებს.
- სპეციალობის სავალდებულო საგნები მიმართულია ფსიქოლოგიის დარგებში არსებული თეორიების და მოდელების შესწავლის, გაანალიზების და ურთიერთშედარებისაკენ. ეს კურსები (ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კვლევის მეთოდები,

სტატისტიკა 1 და 2 და ა.შ.) მიმართულია ფსიქოლოგიური კონსტრუქტების (ცნებითი აპარატის) გააზრების, შესაბამის კონტექსტში მათი გამოყენების, თეორიული და ემპირიული კვლევების კრიტიკული ანალიზის და შედარების უნარების და აზროვნების გამომუშავებისკენ. ამ კურსებით მიღწევადი შედეგები შესაძლებლობას იძლევა, რომ ბაკალავრმა შეძლოს მიღებული ცოდნის გაანალიზება და კრიტიკული შეფასება; გამოუმუშავდეს პრაქტიკული უნარ ჩვევები, რაც გულისხმობს შესწავლილი ცოდნის მისადაგებას კონკრეტული პრობლემების მიმართ და გადაჭრის შერჩეული გზების შესაბამისობის დასაბუთებას; შესძინოს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კვლევის მეთოდების (სტატისტიკა და სხვა მეთოდები) გამოსაყენებლად.

- არჩევითი საგნები (კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიური

კონსულტაცია, პოლიტიკური კონფლიქტის ანალიზი და მართვა, თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიაში და ა.შ.) , რომლებიც მე-4 სემესტრიდან არის დაგეგმილი, კიდევ უფრო მეტად კონკრეტული ცოდნის და უნარების გამომუშავებაზე არის მიმართული. სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გაიღრმავონ ცოდნა სპეციფიური მიმართულებით და უკეთ განივითარონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საგანმანათლებლო კურსის პროგრამით განსაზღვრული შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამით განსაზღვრული შედეგები თითოეულ სავალდებულო საგანთან მიმართებით შეფასებულია სამდონიანი იერარქიით, რაც გულისხმობს შედეგზე გასვლას სწავლების დაწყებით, საშუალო თუ ყველაზე მაღალი საფეხურის დონეზე (1. I – Introduction, 2. D – Development, 3. A- Advance).

პროგრამით განსაზღვრული შვიდივე შედეგის მიღწევის საბოლოო შეფასება ხდება დასკვნითი სასწავლო პროექტის შედეგების საფუძველზე. ყველა სტუდენტის შედეგი ფასდება პროგრამის შედეგის შვიდივე სამიზნე ნიშნულის შესაბამისად კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლით. პროგრამის ციკლის დასრულების შედეგის მოლოდინად განსაზღვრულია, რომ სტუდენტების 80% დასკვნით პროექტში უნდა მიიღოს არა ნაკლებ 71 ქულა.

მთლიანად პროგრამის აგებულების ლოგიკა, კურსების თანმიმდევრულობა და საკუთრივ სილაბუსებით განსაზღვრული შინაარსი და სწავლების უმეტესწილად ინტერაქციული მეთოდი განაპირობებს დასახული შედეგების მიღწევადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- **სილაბუსები**
- **პროგრამა**

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების (ჩარიცხვა/მიღება) პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br>საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენა - ინგლისური.<br><br>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ **ინსტიტუტის საიტი -https://gipa.ge/geo/**<br>○ **პროგრამა** |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდები და სწავლის მიზნები ურთიერთშესაბამისია და ლიგიკურად ებმის ერთმანეთს.<br><br>პროგრამა აგებულია პრინციპით ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისკენ. ყველა კომპონენტი ლოგიკურად არის დალაგებული და სტუდენტს აძლევს |

შესაძლებლობას თანმიმდევრულად შეიძინოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა. დისციპლინის შესწავლა იწყება ფსიქოლოგიის საფუძვლებიდან და შემდეგ ემატება სპეციფიკური შინაარსის კურსები, როგორც სავალდებულო ასევე არჩევითი საგნების ნუსხიდან. სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში გაწერილია თითოეული სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რომელიც სრულიად შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს. აქვე მოტანილია უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებშიც გათვალისწინებულ იქნა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

**რეკომენდაცია 1. პროგრამის სტრუქტურა:** წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში 146 კრედიტს მაპროფილებელი სავალდებულო კურსები შეადგენენ, რომელთა შორისაც არის როგორც პირველი და მეორე (დარგის ბაზისური და სავალდებულო), ისე მესამე დონის (ანუ სპეციფიკური) საგნები.
ფსიქოლოგიის ბაკალავრისთვის აუცილებელი ბაზისური კომპეტენციებისა და GIPA-ს მისიის/ხედვის შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა სავალდებულო მაპროფილებელი საგნების ჩამონათვალში მხოლოდ ფსიქოლოგის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი, ბაზისური კურსების დატოვება, ზოგიერთი კურსის განვრცობა და/ან დამატება და ყველა სხვა დანარჩენი კურსის არჩევითი საგნების ჩამონათვალში გადატანა, კერძოდ:

1.1. **სავალდებულო კურსები.** ვინაიდან პროგრამის სავალდებულო კურსები სტუდენტს უნდა აძლევდეს ზოგად და ბაზისურ დარგობრივ ცოდნას, მიზანშეწონილი იქნება სავალდებულო კურსების ჩამონათვალიდან ისეთი კურსების ამოღება და არჩევითებში გადატანა, რომლებიც ფსიქოლოგიის სფეროში სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა თუ პრაქტიკული უნარჩვევების უზრუნველყოფას ემსახურება. მაგალითად, ისეთი კურსები, როგორიცაა ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ფსიქოლინგვისტიკა სწორედ ასეთი კურსების რიცხვში შედის. ამიტომ მათი გადატანა არჩევითი კურსების ჩამონათვალში სრულიად გამართლებული იქნება. ამ შემთხვევაში სტუდენტი, საკუთარი მოსაზრებებისა და ინტერესების მიხედვით, შეძლებს ისეთი კურსების არჩევას ან არ არჩევას, როგორიცაა, მაგალითად, შესავალი ფსიქოდიაგნოსტიკაში ან კლინიკური ფსიქოლოგია.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ცვლილებები შეეხო პროგრამის სავალდებულო საგნებს, კერძოდ - ფსიქოლოგიურ ანთროპოლოგიას, ფსიქოლოგიური კონსულტაცია და ფსიქოლინგვისტიკა გადატანილ იქნა არჩევითი საგნების ნუსხაში.

რეკომენდაციების შესაბამისად, შემუშავდა და დაემატა დასკვნითი სასწავლო პროექტის სილაბუსი.

1.2. **კურსის დამატება.** ფსიქოლოგიაში ბაზისური ცოდნის შექმნის პრინციპიდან გამომდინარე, რეკომენდებულია პროგრამაში განვითარების ფსიქოლოგიის კურსის დამატება, რომელიც ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი საფუძვლადმდებარე კურსია და წარმოდგენელის ფსიქოლოგის ხარისხის მქონე სპეციალისტი ადამიანის განვითარების შესახებ ბაზისური ცოდნის გარეშე. ამასთან, ეს ფსიქოლოგიაში ცოდნის სწორედ ის საფუძველია, რომელზეც შემდგომში სპეციფიკური ცოდნა/უნარები უნდა დააშენოს სტუდენტმა.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. სპეციალობის სავალდებულო საგნების ნუსხას დაემატა განვითარების ფსიქოლოგიის კურსი.

- ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საბაკალავრო

პროგრამა ფსიქოლოგიაში სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი 240 ECTS კრედიტის დაგროვებას. სასწავლო საგნები განაწილებილი რვა სემესტრის განმავლობაში. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური;

- სწავლების პირველი ეტაპი (I-II და ნაწილობრივ III სემესტრი) მოიცავს

ზოგადი განათლებისა და სპეციალობისთვის სავალდებულო კურსებს (64 კრედიტს); მეორე ეტაპი (III-VII სემესტრი) — ფსიქოლოგიის სავალდებულო ბაზისურ და არჩევით (მეტად სპეციფიკურ) კურსებს (128 კრედიტს); მესამე ეტაპი (VIII სემესტრი) მთლიანად დასკვნით სასწავლო პროექტზე მუშაობას ეთმობა (18 კრედიტი). დარჩენილი 30 კრედიტი თავისუფალია და სტუდენტს მათი დაგროვება საკუთარი სურვილისა და ინტერესის მიხედვით შეუძლია. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ როგორც საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული არჩევითი საგნები (12 საგანი), ასევე უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებული სხვადასხვა არჩევითი საგანი.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამრიგად, იგი შესაბამისობაშია მისანიჭებელ ბაკალავრის კვალიფიკაციასთან.

| |
|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ **სილაბუსები**<br>○ **პროგრამა**<br>○ **შიდა და გარე ხარისხის შეფასების ანალიზის დოკუმენტი** |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>✓ სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ცხრილი წარმოდგენილ იქნეს ისეთი ფორმით, სადაც ნათლად გამოჩნდება:<br>1.პროგრამის რომელი კომპონენტი/ კომპონენტები, უზრუნველყოფენ შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევას; 2. შეფასების რა ფორმით აღწევენ ამას? 3. შეფასების მეთოდით ახორცილებენ? |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსები, სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებენ მრავალფეროვან სწავლების მეთოდიკებს, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ უპირატესობა ენიჭება ინტერაქციულ ტექნიკებს. აქტიურად გამოყენებული სწავლების მეთოდებია: ლექცია, სემინარი, დისკუსია/ დებატები, შემთხვევების გარჩევა, სიტუაციის ანალიზი, პრეზენტაციები, პროექტების მომზადება.

პროგრამის ყველა კომპონენტი ლოგიკურად არის დალაგებული და სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას თანმიმდევრულად შეიძინოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა.

აქვე იხილავთ უნივერსიტეტის მიერ პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს, სადაც გათვალისწინებულ იქნა წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

**რეკომენდაცია 1.** კურსების მოცულობა. პროგრამის მაპროფილებელი (I დონის) კურსების ჩამონათვალში წარმოდგენილია ისეთი ბაზისური კურსები, როგორიცაა კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, პიროვნების ფსიქოლოგია, ორგანიზაციული ფსიქოლოგია, კვლევის მეთოდები და სტატისტიკა, თუმცა ზოგი მათგანი წარმოდგენილია ერთნაწილიანი კურსის სახით, ზოგი კი — ორნაწილიანი სახით, მაგალითად, სოციალური ფსიქოლოგია ორსემესტრიანი მაშინ, როცა პიროვნების ფსიქოლოგია და კოგნიტური ფსიქოლოგია — ერთსემესტრიანი. ანალოგიურად, ერთსემესტრიანი კურსია ფსიქოლოგიის საფუძვლები, რომელიც საბაზისო საუნივერსიტეტო კურსების ჩამონათვალში შედის. რეკომენდებულია სპეციალობის ბაზისური კურსების თანაბარი მოცულობით მიწოდება სტუდენტებისთვის, ვინაიდან აღნიშნული კურსები ქმნიან სპეციალობის ბაზისურ ცოდნას და ფსიქოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტი უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას. უფრო კონკრეტულად, რეკომენდებულია, მაგალითად, კოგნიტური ფსიქოლოგიისა და პიროვნების ფსიქოლოგიის კურსებიც იმავე მოცულობის გახდეს, როგორიც სოციალური ფსიქოლოგიაა.

ეს რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული. შედეგად, პიროვნების ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის კურსების მოცულობა გაიზარდა და გადანაწილდა ორ სემესტრზე. აღსანიშნავია, რომ კოგნიტური ფსიქოლოგიის ჭრილში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილება ეხმიანება ამავე ქვესტანდარტთან დაკავშირებულ ექსპერტთა მეორე რეკომენდაციასაც.

**რეკომენდაცია 2.** ცალკეული კურსების შინაარსი. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ზოგიერთი კურსის დასახელება, შინაარსი და სწავლის შედეგები ნაკლებად მოდის ერთმანეთთან შესაბამისობაში, ზოგი კურსის შინაარსი კი დასახვეწი და მეტად თანმიმდევრულად არის დასალაგებელი. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაციები ცალკეულ კურსებთან მიმართებაში.

**2.1. კოგნიტური ფსიქოლოგია.** ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი ბაზისური, სავალდებულო კურსია კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც სტუდენტს ადამიანის კოგნიტური ფუნქციების შესახებ ცოდნას უნდა აწვდიდეს. წარმოდგენილ სილაბუსში აღწერილ კურსს აქვს მეორე სახელწოდებაც „ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში", რომელიც უფრო ზუსტად ასახავს წარმოდგენილი კურსის შინაარს.
შესაბამისად, რეკომენდებულია მოცემული კურსისთვის აღნიშნული მეორე სახელწოდების დატოვება და არჩევითი საგნების ჩამონათვალში მისი გადატანა და, ამასთანავე, სახელწოდებით „კოგნიტური ფსიქოლოგია" შესაბამისი სავალდებულო (ორსემესტრიანი) კურსის შემუშავება.

საგანთან „ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში" - დაკავშირებული რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული და ეს გადაწყვეტილება ნათლად იყო ახსნილი წარმოდგენილი ანგარიშის დოკუმენტით ( (ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი 21.02.2020). ამ დოკუმენტში საუბარია, რომ „ქცევის თეორიები კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ბიჰევიორიზმში", ცვლილებების განხორციელებამდე გაერთიანებული იყო კოგნიტური ფსიქოლოგიის ერთსემესტრიან კურსში. ცვლილებების შედეგად იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ საგანს. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული აღნიშნული საგნის სავალდებულო საგნების ნუსხიდან არჩევითი საგნების ბლოკში გადატანა. აღნიშნული კურსი კონცეპტუალურად დაკავშირებულია განწყობის ფსიქოლოგიის საგნის პირველ და მესამე ნაწილებთან. ასევე, დევიაციური ქცევისა და იურიდიული ფსიქოლოგიის კურსთან. აღნიშნული კურსები კი სპეციალობის სავალდებულო საგნებს წარმოადგენენ.

**2.2. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.** ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები ერთ-ერთი იმ ბაზისურ კურსთაგანია, რომელიც ფსიქოლოგიის ბაკალავრის ძირითად კომპეტენციებს განსაზღვრავს. მოცემულ პროგრამაში ეს კომპონენტი წარმოდგენილია ორი კურსის სახით: სტუდენტები ჯერ თვისებრივი კვლევის მეთოდებს ეცნობიან, შემდეგ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს, თუმცა კურსების სილაბუსების გაცნობა აჩვენებს, რომ როგორც კურსის მიზნები და სწავლის შედეგები, ისე შინაარსი და სასწავლო მასალა მთლიანად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესწავლაზეა ორიენტირებული და არა ფსიქოლოგიის. გარდა ამისა, ლექტორი, რომელიც უნდა გაუძღვეს აღნიშნულ კურსებს, სოციოლოგია სპეციალობით.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე, ფსიქოლოგია და სოციოლოგია, სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფს მიეკუთვნება, არსებითი განსხვავებაა ამ დარგებში კვლევის წარმოების (თეორიული ჩარჩოს, მეთოდოლოგიისა და კონკრეტული მეთოდების გამოყენების) თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კონკრეტული მეთოდიკა, შესაძლოა, საზიარო იყოს მათთვის. ასე მაგალითად, სოციოლოგიაში აქტიურად გამოყენებული მასობრივი გამოკითხვის მეთოდი პრაქტიკულად არ გამოიყენება ფსიქოლოგიაში; ასევე, ფსიქოლოგები არ იყენებენ ეთნოგრაფიულ მეთოდს, სოციოლოგებისგან განსხვავებით.

აქედან გამოდინარე, რეკომენდებულია აღნიშნული კურსების მიზნების, შინაარსის, შედეგებისა და სასწავლო მასალის მოდიფიცირება ფსიქოლოგიის მეცნიერების კვლევის მეთოდებთან მეტად მიახლოების მიზნით.

აღნიშნული რეკომენდაცია სრულად იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ.

დაკორექტირდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების მეთოდების კურსების მიზნები, შინაარსი და ლიტერატურა ფსიქოლოგიის დარგის შესაბამისად. კერძოდ, კურსები ითვალისწინებს კვლევის სწორედ იმ მეთოდების სწავლებას, რომელიც გამოიყენება ფსიქოლოგიაში. ამასთან, რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდა საგნის ლექტორის ცვლილება. ამჟამად მოქმედი ლექტორი ფლობს აკადემიურ ხარისხს ფსიქოლოგიაში.

**2.3. სტატისტიკა.** პროგრამაში წარმოდგენილია სტატისტიკის ერთსემესტრიანი კურსი, რომელიც სტუდენტებს სწავლების მესამე სემესტრში შეეთავაზებათ და მოიცავს სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული სტატისტიკის საფუძვლებს. გარდა ამისა, კურსის მიზნების ჩამონათვალში აღნიშნულია, რომ კურსის მიზანია „სტუდენტებმა შეისწავლონ პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონული ცხრილების ჯგუფიდან პროგრამა MMs Excel და სტატისტიკური პროგრამა SPSS. ამ პროგრამების გამოყენებით სტუდენტები შეისწავლიან მონაცემების ორგანიზების,

კლასიფიცირების, სისტემატიზაციის, დამუშავების, გაანალიზებისა და გამოყენების ძირითად უნარ-ჩვევებს.“ გარდა ამისა, კურსის მიზნებში ნათქვამია, რომ კურსის მიზანია მონაცემების შეგროვების სწავლება, რაც (ა) კვლევის მეთოდების კურსში ისწავლება და (ბ) კურსის შინაარსში არსად გვხვდება აღნიშნული მიზნის შესაბამისი აქტივობა.
საქმე ისაა, რომ (ა) საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია ცალკე კურსი SPSS, რომელიც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, (ბ) სილაბუსის მიხედვით აღნიშნულ საკითხებს მხოლოდ ერთი კვირა ეთმობა და პრაქტიკულად შეუძლებელია აღწერილი მიზნის მიღწევა დროის ასეთ მცირე მონაკვეთში და (გ) კურსისთვის გამოყენებულ ძირითად ლიტერატურად მითითებულია 2004 წელს გამოცემული სახელმძღვანელო, რომლიც ბოლო, VI გამოცემა მიმდინარე წელს გამოვიდა (იხ. ბმული https://www.amazon.com/Statistics-People-ThinkThey-Hate/dp/1506333834).
ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია: (ა) კურსის მიზნების მოდიფიცირება კურსის შინაარსის შესაბამისად, (ბ) პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების სილაბუსიდან ამოღება და (გ) სასწავლო მასალად უახლესი ლიტერატურის გამოყენება.
გარდა ამისა, 1.2 რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებულია აღნიშნული კურსი ორსემესტრიანი იყოს, რათა სტუდენტებმა საფუძვლიანად შეძლონ მასალის ათვისება და სტატისტიკური ოპერაციების პრაქტიკული შესრულების უნარ-ჩვევების გამომუშავება.

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. მოხდა სტატისტიკის კურსის ახლებური დაგეგმარება. შედეგად კურსი განაწილდა ორ სემესტრზე (სტატისტიკა 1, სტატისტიკა 2). კურსის მოდიფიცირების შედეგად, სტატისტიკა 1-ის ნაწილში ისწავლება აღწერითი სტატისტიკა, ალბათობის თეორიის, განაწილებების და ჰიპოთეზათა შემოწმების შესავალი ნაწილი. კურსში სტატისტიკა 2, ისწავლება დასკვნითი სტატისტიკის ძირითადი კომპონენტები.

კურსის მიზნები შეცვლილია და სრულიად მიესადაგება კურსის შინაარსს. კურსი ორიენტირებულია შეასწავლოს სტუდენტებს მონაცემების სტატისტიკურად დამუშვება და შეუქმნას საფუძველი ცოდნის მომავალში გაღრმავებისთვის. სტატისტიკა 1 და სტატისტიკა 2-ის ფარგლებში თითოეული ლექციის მიხედვით დეტალურადაა გაწერილი თემები. სახელმძღვანელოები უფრო ახალი გამოცემებით არის შეცვლილი.

**2.4. SPSS**. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებისთვის მოწოდებული ერთ-ერთი პროგრამული უზრუნველყოფის — SPSS-ის (სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის) — შესწავლაზე ორიენტირებული კურსი. აღნიშნული კურსი, მეთოდოლოგიის სწავლებაზე

ორიენტირებულ სხვა კურსებთან (კვლევის მეთოდები და სტატისტიკა) ერთად, სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად ამზადებს და, შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ კურსის ფარგლებში მონაცემებთან ურთიერთობის კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, კურსის შინაარსი და საკითხების თანმიმდევრობა შეესაბამებოდეს, ერთი მხრივ, ბაკალავრიატის სტუდენტის მომზადების დონეს და, მეორე მხრივ, მის საჭიროებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

(ა) კურსი (რომელიც სტუდენტებს სწავლების V სემესტრში შეეთავაზებათ) ლოგიკურად ებმოდეს სტატისტიკის (III სემესტრი) კურსს. თუ გათვალისწინებული იქნება 1.2 და 2. 3 რეკომენდაციები სტატისტიკის კურსთან დაკავშირებით, ეს ლოგიკური ბმა სრულიად უზრუნველყოფილი იქნება.

(ბ) უფრო ახალი საკითხავი მასალის გამოყენება. მაგალითად, ერთ-ერთ ძირითად (უახლეს) წყაროდ სილაბუსში მითითებულია სახელმძღვანელო Field, A. (2005). Discovering Statistics Using SPSS . Second Edition. Tousadnd Aoaks, CA: Sage Publications მაშინ, როდესაც ამ სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა არსებობს, რომელიც არსებითად განსხვავდება აღნიშნული ვერსიისგან.

(გ) უფრო კონკრეტულად გაიწეროს თითოეული შეხვედრისას განხილული საკითხები. მაგალითად, ბუნდოვანია, რაც ნიშნავს „შერჩევის გარკვეული ნაწილის გაანალიზება."

(დ) კურსის დასაწყისის საკითხების ჩამონათვალი, სავარაუდოდ, აღწერითი სტატისტიკის კონკრეტული მეთოდების გამოყენების სწავლებას გულისხმობს, კერძოდ, დასახელებულია ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები, მაგრამ არაფერია ნათქვამი ცვალებადობის/ვარიაციის მაჩვენებლებზე, რაც მონაცემთა აღწერის ურთიერთშემავსებელ ასპექტებს წარმოადგენს. თუ აღნიშნულის სწავლება მოიაზრება კურსში, მაშინ უფრო ნათლად უნდა იყოს სილაბუსში წარმოდგენილი.

(ე) ვინაიდან აღნიშნული კურსი საბაკალავრო პროგრამის ნაწილია, არ არის მიზანშეწონილი გართულებული სტატისტიკის ისეთი ელემენტების სწავლება, როგორიცაა ლოგარითმული რეგრესიული ანალიზისა და სინტაქსის სწავლება. უმჯობესი იქნება, სტუდენტებს ბაზისური ოპერაციების განხორციელების პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშავდეთ, რომლებზეც შემდგომში საჭიროებისდა მიხედვით დააშენებენ ახალ ცოდნასა და უნარებს.

(ვ) კურსის ფარგლებში განხილული საკითხები ლოგიკურად და მარტივიდან რთულისკენ თანმიმდევრობით იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, IV კვირას სწავლობენ კროსტაბულაციას და XI კვირას ხი-კვადრატის გამოთვლას, რაც, ფაქტობრივად, ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან; ასევე, X კვირას ეცნობიან კორელაციის გამოთვლის პროცედურას და XIV-XV კვირები ეთმობა რეგრესიულ ანალიზს, შუალედში კი არაპარამეტრულ ტესტს (ხი-კვადრატი) და ჯგუფების შედარებას სწავლობენ. ვინაიდან კორელაციური ანალიზი საფუძვლად უდევს

რეგრესიულ ანალიზს, უმჯობესი იქნება, ეს საკითხები ერთმანეთის მიმდევრობით განიხილებოდეს. ასე სტუდენტს გაუადვილდება მათ შორის კავშირის დანახვა და გამოთვლისა და ინტერპრეტაციის უნარჩვევის გამომუშავებაც.

საგანი SPSS საერთოდ ამოღებულია პროგრამიდან, რადგან საგნის სტატისტიკის კურსებთან (სტატისტიკა 1, სტატისტიკა 2). შერწყმა მოხდა. ამ ორი კურსის გაერთიანება სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სტატისტიკა შეისწავლონ არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. ამჟამად არსებული კურსის მიხედვით, სტატისტიკა 1-ში და სტატისტიკა 2-ში სტუდენტი სწავლობს მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის სხვადასხვა ელემენტებს თეორიულად. ამასთანავე, ამყარებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკული მაგალითებით და SPSS-ის გამოყენებით მონაცემებზე მუშაობით. ორივე სემესტრში, თითოეული სასწავლო საკითხისთვის გამოყოფილია ორი კვირა. ერთი ეთმობა საკითხის თეორიულ ახსნას და სხვა საკითხებთან დაკავშირებას. მეორე კვირა ლაბორატორიულ მუშაობას, კერძოდ კი, განვლილ საკითხთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მაგალითებზე მუშაობას SPSS-ში. წარმოდგენილი სილაბუსები ფარავს ბაკალვრის დონისთვის აუცილებელ თემატიკას, როგორც სტატისტიკის, ასევე სტატისტიკური ანალიზის პროგრამის თვალსაზრისით. რეკომენდაციის გათვალისწინების ჭრილში, ასევე, ნიშანდობლივია რომ სტატისტიკის ორივე სილაბუსში შეიცვალა სასწავლო თემატიკის თანმიმდევრობა - მარტივიდან რთულისკენ. ამასთანავე, სილაბუსები მიყვება ისეთ სტრუქტურას, რომ სტუდენტებმა ადვილად დაუკავშირონ სხვადასხვა სტატისტიკური ტექნიკები გაზომვის სხვადასხვა დონეებს.

პროგრამის განმახორციელებელი პირისა და ხელმძღვანელის პოზიციის შესაბამისად, კურსის პირველ ნაწილში, უმეტესწილად, დაფარულია აღწერითი სტატისტიკის კომპონენტები, ხოლო კურსის მეორე ნაწილი ფოკუსირებულია დასკვნით სტატისტიკაზე. ამ თვალსაზრისით, ნაწილობრივ არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციის ერთერთი ნაწილი (კროსტაბულაციებისა და ხი კვადრატის საკითხების ერთდროულად განხილვასთან დაკავშირებით). მათი არგუმენტაცია და დეტალური ანგარიში წარმოდგენილია ზემოთ ნახსენებ ანგარიშის დოკუმენტში.

**2.5. აკადემიური წერა.** კურსი, რომელიც აკადემიური წერის სახელწოდებით არის შემოთავაზებული, ფაქტობრივად, ციტირებას, პერიფრაზირებას, წყაროების მოძიებასა და სათანადოდ წარმოდგენას ასწავლის სტუდენტს. სხვა სიტყვებით, პლაგიატის თავიდან აცილების გზების სწავლებაზეა მიმართული. ამასთან, თითო კვირა ეთმობა არგუმენტირებული და კრიტიკული ნაშრომის სტრუქტურის განხილვას, რაც არასაკმარისია ამ ტიპის ნაშრომების შესრულების სწავლებისთვის.

